თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

2013 წლის 4 ნოემბერი სხდომის ოქმი #13

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანის მოადგილე აკაკი მიქაბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 30, სტუდენტები – 6, სულ – 36 წევრი.

დღის წესრიგი

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის არჩევის შესახებ

/დეკანის მოადგილე ა. მიქაბერიძე/

2. თსუ ინტერდისციპლინალური ცენტრის საბჭოში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წარმომადგენლის არჩევის შესახებ

/დეკანის მოადგილე ა. მიქაბერიძე/

3. თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის (ინგლისურენოვანი) კურსდამთავრებულისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

4. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2009 წლის კურდამთავრებულებისათვის მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ (თსუ რექტორის ბრძანება 837/01–04; 27.04.2009);

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: ა) ტურიზმის მენეჯმენტი (მეოთხე საფეხური); ბ) ტურიზმის მენეჯმენტი (მეხუთე საფეხური); გ) სასტუმრო და საკურორტო მენეჯმენტი (მეოთხე საფეხური); დ) სასტუმრო და საკურორტო მენეჯმენტი (მეხუთე საფეხური) - დამტკიცების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

მიმდინარე საკითხები

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ ბატონმა აკაკი მიქაბერიძემ საბჭოს წევრებს მიმართა, რომ საჭიროა საბჭოს თავმჯდომარის არჩევა და თხოვა საბჭოს წევრებს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელება. თავმჯდომარის კანდიდატურად დასახელებულ იქნა სრული პროფესორი იური ანანიაშვილი.
საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა იური ანანიაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად იქნა დამტკიცებული.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის შესახებ

/დეკანის მოადგილე ა. მიქაბერიძე/

ბატონმა აკაკი მიქაბერიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება დეკანის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის შესახებ და საბჭოს მიმართა თხოვნით დაესახელებინათ კანდიდატურები. დეკანის მ.შ. კანდიდატურად დასახელებულ იქნა ასოცირებული პროფესორი თეიმურაზ ბერიძე.

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ს. გელაშვილმა, სრ. პროფ. ნ. ხადურმა, სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 36;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს კენჭის ყრის საფუძველზე დეკანის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნულ იქნეს ასოცირებული პროფესორი თეიმურაზ ბერიძე.

მოისმინეს: თსუ ინტერდისციპლინალური ცენტრის საბჭოში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წარმომადგენლის არჩევის შესახებ

/დეკანის მოადგილე ა. მიქაბერიძე/

ბატონმა აკაკი მიქაბერიძემ საბჭოს გააცნო თსუ ინტერდისციპლინალური ცენტრის დირექტორის ქალბატონი ნანი მაჭარაშვილის მიმართვა, რომლის თანახმადაც, ინტერდისციპლინალური ცენტრის საბჭოში სათათბირო ხმის უფლებით გაერთიანების მიზნით დასახელებულიყო ფაკულტეტის წარმომადგენელი და თხოვა საბჭოს დაესახელებინათ კანდიდატურა. კანდიდატურად დასახელებულ იქნა ასოცირებული პროფესორი ია ნაცვლიშვილი.

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ს. გელაშვილმა, სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილმა, სრ. პროფ. ე. ხარაიშვილმა, სრ. პროფ. რ. გველესიანმა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 36;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: თსუ ინტერდისციპლინალური ცენტრის საბჭოში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წარმომადგენლად არჩეულ იქნა ასოც. პროფ. ია ნაცვლიშვილი.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის (ინგლისურენოვანი) კურსდამთავრებულისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ს. გელაშვილმა, სრ. პროფ. ე. ხარაიშვილმა, ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 36;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: მიენიჭოს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეს შესაბამისი დიპლომი ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის 2013 სასწავლო წლის შემდეგ კურსდამთავრებულს:

დიპლომი ჩვეულებრივი:

1. სამადოვა ილაჰა

მოისმინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2009 წლის კურდამთავრებულებისათვის მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ (თსუ რექტორის ბრძანება 837/01–04; 27.04.2009);

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

ნ. პაპაჩაშვილმა აღნიშნა, რომ ეტაპობრივად მიმდინარეობს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2010 წლამდე (ვიდრე არ იქნა ამოქმედებული ახალი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #120/ნ, 10 დეკემბერი, 2010 წ.) კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული ხარისხების კორექტირება შესაბამისი დროისათვის მოქმედი რეგულაციის მიხედვით.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #633–ის მიხედვით მოხდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის თსუ რექტორის 837/01–04; 27.04.2009 ბრძანებით მინიჭებული ხარისხების კორექტირება.

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ი. მესხიამ, სრ. პროფ. ე. ხარაიშვილმა, ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 36;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: შევიდეს ცვლილება თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის თსუ რექტორის

837/01–04; 27.04.2009 ბრძანებაში და მოხდეს მინიჭებული ხარისხების კორექტირება:

1. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (ეკონომიკური საინფორმაციო სისტემის მენეჯერის კვალიფიკაციით) აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;

2. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (მენეჯერის კვალიფიკაციით) აკადემიური ხარისხის ნაცვლად მიენიჭოს ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

მოისმინეს: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: ა) ტურიზმის მენეჯმენტი (მეოთხე საფეხური); ბ) ტურიზმის მენეჯმენტი (მეხუთე საფეხური); გ) სასტუმრო და საკურორტო მენეჯმენტი (მეოთხე საფეხური); დ) სასტუმრო და საკურორტო მენეჯმენტი (მეხუთე საფეხური) - დამტკიცების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ნ. თოდუამ, სრ. პროფ. ქ. მარშავამ, სრ. პროფ. მ. მარგველაშვილმა, ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილმა.

სრ პროფ. ნ. თოდუამ *აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამების კორექტირებული ვარიანტი არ იყო დაგზავნილი განსახილველად და შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღება ამ ეტაპზე იქნებ გადადებულიყო.*

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 22;
წინააღმდეგი – 15.

დაადგინეს: 1. დამტკიცდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

ა) ტურიზმის მენეჯმენტი (მეოთხე საფეხური);

ბ) ტურიზმის მენეჯმენტი (მეხუთე საფეხური);

გ) სასტუმრო და საკურორტო მენეჯმენტი (მეოთხე საფეხური);

დ) სასტუმრო და საკურორტო მენეჯმენტი (მეხუთე საფეხური).

2. აღნიშნულის დამტკიცება ეთხოვოს თსუ აკადემიურ საბჭოს.

მოისმინეს: ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირების და ტურიზმის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამების სასწავლო კომპონენტში არჩევით საგნად „არატრადიციული ეკონომიქსი: მეთოდოლოგია და მეთოდიკა“ შეტანის შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილმა, სრ. პროფ. ნ. ხადურმა, სრ. პროფ. რ. გველესიანმა, სრ. პროფ. ე ხარაიშვილმა, ასოც. პროფ. ი. ჭილაძემ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 36;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირების და ტურიზმის ეკონომიკის სადოქტორო პროგრამების სასწავლო კომპონენტში არჩევით საგნად შეტანილ იქნას საგანი „არატრადიციული ეკონომიქსი: მეთოდოლოგია და მეთოდიკა“.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
სრული პროფესორი: ი. ანანიაშვილი

ფაკულტეტის სწავლული მდივანი,
ასოც. პროფ: ხ. ბარბაქაძე